

572
1963

საქართველოს
ფილმების
ინსტიტუტი



572

43

ღელა

აქველი, ბუმბუ ბაბუა,
 ბუბუნი, ბუმბუ ბაბუა,
 და ბუმბუ, ბუმბუ ბაბუა,
 სახლიდან გადმოვა.

№ 1 საბავშვო და სტრუქტურული (მონობილი) და
 3. 0. საბავშვო საბავშვო ბიჭი პირველი
 რედაქციის რედაქციის საბავშვო

იანვარი
 1963

ი. შანიავილი

კუსთავი

საქართველო ათასგვარი
ჭირ-ვარამის დამნახველი
გაიქნო და გაიზარდა
საბჭოეთის მძლავრი ხელით.

განა ვინმე იფიქრებდა, —
ასე ჩქარა, ასე მალე
რვალის ჯაგუანს ჩაიცვამდა
ეს შიშველი არემარე!

ქართულ ფოლადს, ქართულ რკინას
სახელმწიფო ძალა ჰქეცია...
და რუსთავეც ახალგაზრდა
ინდუსტრიის ქალბუჩია!

გაუმარჯოს გამარჯვებულს,
დღეგომელობა მამულს მარად —
მტრების გულის მოსაკლავად,
ჩვენი გულის გასასხარად.

ნახაგი თ. სამსონაძისა



ლ. ბაქრაძე
საბჭოთა კავშირის გმირი

გყეში

ნახაზები ჯ. ლოლუასი

სამამულო ომის დროს სპადჩანსკის გაუვალი ტყე მტრის ზურგში მოექცა. ეს ტყე უკრაინაში მდებარეობს. აქ იბრძოდნენ საბჭოთა პარტიზანები, რომლებსაც მეთაურობდა ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი ს. ა. კოვაკი.

1944 წლიდან ამ შენაერთმა მიიღო პირველი უკრაინული პარტიზანული დივიზიის სახელწოდება. ამ დივიზიამ საკვეყნოდ გაითქვა სახელი ფაშისტთა განადგურებით. მან თვრამეტი ათას კილომეტრზე მეტი ბრძოლით გაიარა მტრის ზურგში.

ახლაც კოვაკელებს წესად აქვთ ყოველწლიურად საზეიმო შეხვედრა სპადჩანსკის ტყეში, სადაც პირველი საბრძოლო ნათლობა მიიღეს 1941 წლის სექტემბერში.

შეხვედრის ადგილას ძეგლად დგას მათ მიერ აფეთქებული ფაშისტთა ტანკი.

ერთხელ მებრძოლები ტყის «ჩაგარცხნას» აწარმოებდნენ: იჭერდნენ ფაშისტთა ჯარისკაცებს და წინ მიიწევდნენ.

სპადჩანსკის ტყეში ჩვენი სამხედრო ნაწილი ტანმორჩილ, გრძელწვერა კაცს დააწყდა.

— შესდექ! — შორიდან მიაძახა უცხოის ჩვენმა მეთაურმა ფედია კარბენკომ.

უცნობი შედგა. ჯარისკაცები ირგვლივ შემოურტყნენ.

— ვინა ხარ? — ჰკითხა კარბენკომ უცნობს.

— საბჭოთა მოქალაქე, პარტიზანული რაზმის უფროსი! — იყო პასუხი.

მებრძოლებს აქა-იქ ჩაეცინათ.

— როგორ ცრუობს! ამ მოხუცს სიარულიც კი არ შეუძლია და ამბობს მეთაუ-





რი ვართ! შენ ნამდვილად ჯაშუში ხარ! — შეეიტყუვა კარბენკო.

ამ სიტყვებზე უცნობი აფეთქდა:

— თქვენ თვითონ არ გესმით, რას ლაპარაკობთ. ეგ სიტყვები უკან წაიღეთ! — ბრაზ-მორთულმა მოხუცმა კარბენკოს წვრილი მოძრავი თვალები თვალში გაუყარა და ჯიბისაკენ წაიღო ხელი...

— მაშ ვინა ხართ, მაჩვენეთ საბუთი! — არ ეშვებოდა კარბენკო.

— საბუთებს ტყეში არ ვატარებ. მტერმა რომ ხელში ჩამიგდოს, საბუთები-ანად ხის ტოტზე ჩამომკიდებს. ეს მეთაურ-მა კარგად უნდა იცოდეს!

— მაშ, თქვენი გვარი მაინც გვითხარით.

— კოვბაკი გახლავართ!

— რა დაგრჩენიათ ამ ტყეში, მოხუცო?

— ცოტა მოითმინეთ და ყველაფერს გაიგებთ... აი, ჩემი ბიჭებიც, — თქვა კოვბაკმა და თავისიანებს ანიშნა «მოდითო».

უცბად კოვცილი მხრიდან ჩასაფრებული პარტიზანები წამოიშალნენ, კოვბაკთან მიიბრინეს და მებრძოლებს ფუტკარივით შე-მოესივნენ.

— ესენი ჩვენი პარტიზანებია, დასაზვერად მყავდა გაგზავნილი, ახალმოსულები

ვართ ამ ტყეში, — თქვა მოხუცმა, რომელსაც პარტიზანები ზედმეტ სახელად «ბაბას» ეძახდნენ:

მებრძოლები ჯერ შეყოყმანდნენ, ეს მტრის ფანდი არ იყოსო, — გაუელვათ თავში.

კარბენკომ გაიღიმა:

— თავიდანვე ასე გეთქვა, შე ოჯახშენებულო!

ახლა კოვბაკი მიუბრუნდა კარბენკოს:

— აბა, ყმაწვილებო, თქვენ თვითონ ვინა ბრძანდებით?

— რა ბედზე შემოგვხდით! ჩვენ, ამხანაგო კოვბაკო, ზურგში დარჩენილი საბჭოთა მებრძოლები ვართ და ამ ტყით მივიწვევდით ფრონტის ხაზისაკენ. — აუხსნა ფეღია კარბენკომ.

— თუ გნებავთ, ბიჭებო, შემოგვიერთდით! — მიუგო კოვბაკმა და მისი პარტიზანები გულგაშლილი მასპინძლებივით დახვდნენ კარბენკოს მებრძოლებს, რომლებიც სიხარულით შეუერთდნენ კოვბაკის პარტიზანებს.

მათ თავზე კი ზღვასავით ბობოქრობდა საბაჩანსკის ულრანი ტყე. ცამდე აზიდული გოლიათი ფიჭვები გუგუნებდნენ, თითქოს ზეიმობენ ტყის ძმების შეხვედრასო.



შეადგინა რ. შიპაძლიძემ
ნახატი ი. აბლიძისა



ღ ა

თ. მხაიძე

- აი, ია! — უჩვენებდა ნია დიდვდას წიგნში, თან ეკითხებოდა:
- ღურჯია? მწვანე კაბა აცვია? როდის მოვა ია?
- გაზაფხულზე! — ეუბნებოდა დიდვდა.
- გაზაფხული როდის მოვა?
- როცა ზამთარი წავა!
- და ნია გასძახოდა ზამთარს:
- წადი, წადი!
- დადგა დრო, — თოვლი დადნა და წავიდა ტირილ-ტირილით.
- ნია მ იკითხა: — ია სადღა არის?
- ნაკადულთან! — თქვა დიდვდამ, წაიყვანა და უჩვენა:
- აი, ია, ნამდვილი ია!
- ია, ია! — გაუხარდა ნიას. დაიხარა და დაეწოლა.
- ია კი თავს უკრავდა ნიას: — საღამო, საღამო.
- განა მხოლოდ ნიას, ნაკადულსაც თავს უხრიდა ია, ენძვდასაც და ყოჩივარდასაც.
- გაზაფხული მოდისო! — გაუხარდა ნიას.



საჩუქრები

3- კახაბე

ნახატი პლ. ბანძელაძისა

იყო ერთი ზატარა გოგონა. მას კესო ერქვა. კესოს ბაბუა—ჭიაბერი ზეად გამხდარიყო, — ფეხი სტკიოდა. დედამ კესო წაიყვანა ბაბუას სანახავად.

ბაბუას ძალიან გაეხარდა კესოს ნახვა. თავზე ხელს უსვამდა, ეფერებოდა.

კესომ კაბის ჯიბე მოისინჯა. იქიდან ქაღალდი ამოიღო და ბაბუას მიართვა. ქაღალდში რაღაც იყო გახვეული. ბაბუამ გახსნა: ორი მწიფე ზანტა-მისხალი და ერთი კანფუტი ნახა. კანფუტს ღამასი ქაღალდი ჰქონდა შემოსვეული. იმ ქაღალდზე ფრთაგაშლილი მერცხალი ესატა.

მოსუცი ჭიაბერი ძალიან გაახარა ზატარა კესოს საჩუქრებმა. ტკივილებიც დაავიწყდა.

— ამ კუდრაჭან მოსვლამ და მისმა საჩუქრებმა მომარჩინაო, — ამბობდა მოსუცი.

ზევსუკმთი

მ. ჯაბუშაშვილი

მთა-კლდენი და ხევსუგები,
ჩანჩქერები მომქუხარე;
აი, ჩვენი ხევსურეთი—
ჯიხვების და მთების მხარე.

ოქტომბერში ჩამობარდნის,—
უკვე თეთრი ზამთარია;
ჩანჩქერს კლდიდან ჩამოვარდნილს
ყინვის ხუფი აფარია.

გზას ნამქერი გადაქელავს,
ყინვაა და წივის ქარი,
მაგრამ მაინც ჩვენი გელა
სკოლისაკენ მიიჩქარის.

ბილიკს იგვლევს, თოვლს მიჰკვალავს,—
ყინვას განა შეუღრკება,
კლასში იღებს რვეულს, კალამს,
ბეჯით სწავლას შეუდგება.

იაც გვიან მოდის მთაში,—
თოვლი დიდხანს ახურია,
აქ რომ არყი ფთოთლს გაშლის,
ბარში უკვე ზაფხულია.

ჩვენი გელაც თბილ ქურქს იცვლის,
ჭრელ-ჭრელ პერანგს გადაიცვამს
და პატარა თეთრი კვიცი
წყალზე მიჰყავს სადავითა.

ლურჯი ფერი მწვანეს ერთვის
კრთის ჩანჩქერი მომქუხარე;
ლამაზია ხევსურეთი—
ჯიხვების და მთების მხარე.



გაგა მასპინძელი

ირ. არაბული


აი, ჩემი კოშკი,
აი, ჩემი ციხე,
დგას ქარში და თოვლში,
თავზე ნისლებს იხვევს.

აქ—არაგვი მორბის,
იქ—მდინარე როშკის,

ხომ კარგია სოფლის
ციხეცა და კოშკიც!—

ეუბნება გაგა
სტუმრად მოსულ გურამს,
და ერთმანეთს გზა-გზა
ეხვევიან ძმურად.






ქრ გუგული სალსა ვე
უკვდავების სეზუდა,
არ გუგული მე ჩემს
სსვა ქვეუნის სამოთხე

აქაში
„სამშობელ
გებურისა“



ნახატბი ლ. ბაკმილა



გურთიღან პეტაქე

ბ. პალიანი

ნახაზები რ. მუსაჩიძისა

— აი, ესეც ნაფტალინი! კიდევ რა დავგაბარა ბებიაში? — უთხრა უფროსმა მამამ დათომ პატარა ვიასს და ჩამოწეროდა სიას დახვდა: საღებავები, წამლები, წინდები, პლასტმასის ჯამები! — რა არ ჰქონდათ დაბარებული...

— ყველაფერი გვიყვია. რა გვეშველვოდა, ეს ქვანახშირი რომ არ ყოფილიყო! — ჩაილაპარაკა დათომ.

— ქვანახშირი რა შუაშია? — გაიკვირვა ვიამ.

— ყველაფერი, რაც დავგაბარეს, განა ქვანახშირისაგან არ არის დამზადებული?

— ეს ამდენი მანქანები, ათასნაირი ტანსაცმელი, ფერადნახატებიანი წიგნები, ქაღალდი, კალამი, სათამაშოები თავისთავად ხომ არ ჩნდება, ნუთუ არ იცი, ვინ აკეთებს, ან რისგან?

— როგორ არ ვიცი! სახლს ხომ კალატოზები აშენებენ, მანქანა ბენზინით დადის, ტანსაცმელს ნაჭრისაგან კერავენ.

— მერე ამდენ აგურსა და ცემენტს, კირს რისგან ამზადებენ, ან ამდენ მატერიას, ხომ არ გგონია, ჩვენი სოფლის ცხვრები გასწვდებ?

დათოს კიდევ რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ შეატყო, ვიასს ყურადღება მალაზიის ვიტრინამ მიიპყრო. მუშები ვიტრინის შუშას სცვლიდნენ და ისე უშიშრად ექცეოდნენ ამ გვებერთელა გამჭვირვალე მინას, რომ გამძლე-გამომძლეული ცნობისმოყვარეობით აკვირდებოდა. — შეხე, დათო, — უთხრა ვიამ, — რა პრიალა და გამჭვირვალე შუშაა, გატეხის არ ეშინიათ?

— მაგას რა გატეხავს? ეგ ხომ პლასტმასისაა, — გაიცინა დათომ. — შენ რომ

იცოდე, ვიას, პლასტმასსაც ქვანახშირისაგან ღებულობენ. ქიმიკოსები გაახურებენ ქვანახშირს და მისგან სხვადასხვა ნივთიერებები გამოიხდება.

— რას ამბობ, დათო? ქვანახშირი რომ გაახურო, ხომ დაიწვა. აი, ჩვენი მეზობელი ძია გიორგი ღუმელს სულ ქვანახშირით ახურებს ხოლმე.

— მართალია, მაგრამ ქვანახშირს უპირადად ახურებენ, რომ არ დაიწვას. იღებენ სხვადასხვა პროდუქტებს, რომელსაც მერე ქიმიურად აშუშავენ. მაგალითად ქვანახშირიდან მიღებულ კუპრში ქიმიკოსებმა დაახლოებით სამასამდე სხვადასხვა ნივთიერება აღმოაჩინეს.

— პლასტმასსაც იქიდან ამზადებენ?

— მარტო პლასტმასა კი არა, ათასგვარ ქსოვილებს, ფერად-ფერად საღებავებს, წამლებს. აი, ეს მანქანები მსუბუქად რომ დასრიალებენ, რაზე ღებან?

— საბურავებზე.


— ზოდა, საბურავებიც და ასფალტიც ქვანახშირის ვადაშუშავებითაა მიღებული.

— რას ამბობ, დათო, საბურავები რეზინისაა. მე ვიცი, რომ რეზინი კაუჩუკისაგან კეთდება. კაუჩუკი ხის წვენია.

— ეგ მართალია, მაგრამ, სად არის იმდენი კაუჩუკი უამრავ მანქანებს რომ ეყოს. ქიმიკოსებმა მიაგნეს ხელოვნური კაუჩუკის მიღების ხერხს. ამასაც სწორედ ქვანახშირის გამოხდის შედეგად ღებულობენ.

— ერთი მითხარი, დათო, შენ საიდან იცი ამდენი? — როგორც იქნა შებღედა ვიამ.

— მე ხომ მომავალი ქიმიკოსი ვარ,



და იცი, რამდენი წიგნი წამიკითხავს სახალისო ქიმიანზე!...

ჩასახვევში ნახშირს ცლიდნენ მანქანიდან. კოპწიად გამოწყობილი გოგონები შორიდან უელიდნენ იმ ადგილს, — არ დაეისვართო.

— შეხე, გია, რა სასაცილოა, როგორ ერიდებიან ქვანახშირს!

— მერე და რა არის სასაცილო, ჩვენც მოვერიდოთ.

— მაგათ ნეილონისა და კაპრონის კაბები და წინდები აცვიათ, და არ იციან, რომ ყველაფერი ამ შავი ქვანახშირიდან არის მიღებული.

— თვითმფრინავებსა და კოსმოსურ ხომალდსაც ხომ ქიმიან არ ეხმარება ფრენაში? — სიცილით თქვა გიამ.

— სწორედ, რომ ეხმარება! მაგალითად ზღვიდან ამოღებული მარილიდან მიიღება მსუბუქი ლითონი—მაგნიუმი.

მაგნიუმისა და ალუმინის შენადნობებისაგან კი მზადდება ძირითადად ჰაერში მოსრიალე ვერცხლისფერი თვითმფრინავები.

რაც შეეხება კოსმოსურ ხომალდებს, მათი საწვავიც ქიმიკოსების მიერაა აღმოჩენილი. ეს განსაკუთრებული საწვავია, რომელსაც შეუძლია ხუთჯონიანი ხომალდი რამდენიმე წუთში კოსმოსში ატყორცნოს.

ვგ კიდევ რა არის, ქიმიან უფრო გასაოცარ საქმეებს უჩვენებს ადამიანებს ახლო მომავალში!

ფუტყარი ფიჭვი და კობალი

მ. შაველიძე

გ ა გ

მხლის ხეზე ფიჭვი ჰყვალდა,
სარობდა თავის გაჩენით;
თან ფუტყარს ეუბნებოდა—
სხვისი მდგმური და სარჩენი:

— უსაქმურო და უქნარავ,
ნეტავ რა ძალა დაგაფრენს?
რაც გამაჩნია მპარავ და
აღარ მიტოვებ არაფერს.—

მაშინ შესძახა ფუტყარმა:
— რომ გადაშლიხარ მარად,
თვითონ სხვის სუფრას უზიხარ,
რალა გაქვს საღაპარაკო?!

გაახმე მწვანე ტოტები
და ახლა ჰბედავ ტრახახსაც.
კოდალსავით შემეძლოს
ახლა მე შენი გადახვა!—

ჰდარბე იჯდა კოდალა,
უმაღ შეწყვიტა კაკუნი,
და მოახუბრებთან მიიჭრა
ღამაზე ფრთების ფათქუნით.

ფუტყარს მიმართა ზრდილობით:
— რამ გაგაჯავრა ძმობილო?
მთელს ქვეყანაზე გარჯოთ და
აღალი შრომით ცნობილო!—

ფუტყარმაც კრძალვით მიუგო:
— მიჯობს სირცხვილით გავექვადე.
ნეტავ რას მერჩის ეს ფიჭვი
ვერ გამოვიდა აქამდე!

ფიჭვის შეუძახა კოდალა:
— ვის უკვირს შენი მშვენიერება,
როგორ აკადრე, მითხარი,
ჩვენს ფუტყარს ცუდად სხენება?



ძირფესვიანად ამოგთხრი,
განა მიზეზვას გაკმარებ.
ფუტყარი რომ არ შრომობდეს,
თაფლს ვინ მისცემდა პატარებს?—

უთხრა და დასცნო ნისკარტი,
ძირში მოთხარა იმ წამსვე;
გაფიქრდა ფიჭვი ტრახახსა,
დაბდა დაეცა მიწაზე.

მხლის ხე ატოკდა, ათრთოდა,
ცვარი დაჰბერტყა უხვად და
მერე ფუტყარს და კოდალს
მადლობა გადაუხადა.





პ. ბილკო
შვიდი მწერალი

ჩაკჩაკ

ნახატები ვ. ბელიჩიხვილია

ჭეჭრულ ზღაპრებს ნაღები გაშთაჩისათვის

ზ ლ ა მ ა რ ი

ერთი ტბის პირას, ზღარბების ოჯახი ცხოვრობდა.

ზღარბებს ათი შვილი ჰყავდათ. ძლიერ უჭირდათ შვილების მოვლა საცოდავ მშობლებს. ათი ბავშვი და ისიც სულ ბიჭები, ეს მართლა მეტისმეტი იყო!

დედა ზღარბი დილიდან-სალამომდე დაფუსფუსებდა, მამა ზღარბიც შველო-

და საქმეში, მაგრამ უფრო ხშირად სხვა კაცებევით იჯდა და გაზეტს კითხულობდა. დედა ზღარბი კი მთელ დღეს შვილების ეკლიანი ქურქებისა და მათი ცინგლიანი ცხვირების წმენდას უნდებოდა.

ზაფხულში ცხელოდა და ზღარბები ფეხშიშველა დარბოდნენ. შემოდგომა მამი და სიცივე მოიტანა, და ზღარბებ-

საც უსველდებოდათ შიშველი ფეხები. ისე დღე არ გავიდოდა, რომელიმე მათგანს სურდო-ხველა არ დამართოდა. დედა ზღარბი ბავშვებს აწწლის ჩაის უღუღებდა და პიტნის კვერებს უტყობდა.

— არა, ზამთარში ბიჭები უწალებოდ ვერ გაძლებენ, — გადაწყვიტა დედა ზღარბმა, — მაგრამ რამდენი წალა უნდა შევეუკვეთო მეწაღეს, თუ თითოს ოთხი თათი აქვს?

საგონებელში ჩავარდა დედა ზღარბი, სიბ ქვაზე ჩამოწერა თავისი ბიჭების სახელები: ნიკე, ტიკე, პიგე, ტაგე, ვიკე, მიუკე. კოტე, კიუტე, პიუტე და ლუკენტიუს. ბოლოს იანგარიშა, რომ სულ ორმოცი წალა დასჭირდებოდათ.

— პირდაპირ ოჯახის დაქცევაა! — შეიცხადა დედა ზღარბმა. ამოიღო სკივრიდან საწაღე ტყავი და მეწაღე კურდღელს მიაღდა კარზე:

— კურდღელო-ყურცქვიტა, ამ ტყავისაგან ჩემი ბიჭებისათვის ორმოც წალას ვერ გამოიყვან?

მეწაღე-ყურცქვიტა შეპპირდა და მეორე დღეს, საღამოს თვითონვე მიუტანა დედა ზღარბს შეკერილი საპირები.

— მაპატიე, ჩემო ძვირფასო, მაგრამ შენი მოტანილი ტყავიდან მხოლოდ ოცი წალის საპირე გამოვიდა, ზუსტად თითო წყვილი თითოს. შენს ბიჭებს უკანა ფეხებზე სიარულის სწავლა დასჭირდებათ! — უთხრა დაღონებულმა მეწაღემ.

დედა ზღარბმა მადლობა გადაუხადა მეწაღე-ყურცქვიტას და ხეკაქუნა-კოდალასაკენ გაეშურა.

— კოდალა, ჩემო კარგო, არ შეგიძლია ამ ათი წყვილი წალის საპირედან ოცი წყვილი წალა გამოიყვანო ჩემი ბიჭებისათვის?

კოდალამ დიდხანს არ ახვეწინა დედა ზღარბს და ხეზე გრძელი ნისკარტის კაკუნით მიუგო:

— ამაზე როგორ დაგზარდები, საღამოზე გამოიარე.



მაგრამ საღამოს დედა ზღარბი წალების წასაღებად რომ მივიდა, გამოირკვა, რომ კოდალას ათი წყვილი წალის შესაკერად თურმე ძაფი არ ეყო. ამიტომ მხოლოდ ნახევარი დაამზადა, — სულ ათი წალა!

— საქმე ვერ არის რიგზე, არც გასანთლული ძაფი მაქვს და კიდევ ბევრი რამ მაკლია, — დაიწყო წუწუნი ხეკაქუნა-კოდალამ, — მაგრამ ნუ გაცხარდები, ჩემო ძვირფასო, ათი ბიჭი და ათი წალა პირდაპირ ზედგამოჭრილია!

დედა ზღარბი ძლიერ დააღონა ამ ამბავმა:

— განა თითო ზღარბს თითო წაღა
ეყოფა? ეს იმას ნიშნავს, რომ ჩემმა ბი-
ჭებმა ცალ ფეხზე ასკინკლით სიარუ-
ლი ისწავლონ, — ვიწვიმებდა დედა
ზღარბი.

ახლა წაღების გაქონვა იყო საჭირო,
წყალი რომ არ შესელოდათ ფეხებში
და დედა ზღარბიც წავისაკენ გაეშურა
ტბაზე.

წავმა, თითქოს განგებ, მაშინ ამოყ-
ვინთა წყლიდან, როცა დედა ზღარბი
მიაღვა ნაპირს.

— რით შემიძლია გემსახუროთ, გე-
თაყვა? — ჰკითხა დედა ზღარბს.

დედა ზღარბმა ყველაფერი დაწვრი-
ლებით უამბო და წავმაც დაიტოვა წა-
ღები გასაქონად. მაგრამ, დედა ზღარბი
მეორე დღეს წაღების წამოსადებარ რომ
მივიდა, გამოირკვა, რომ წავს თურმე
წაღების ნახევარი წყალში ჩასცვივინა!

— გულს ნუ გაიტეხ, გეთაყვა, — უთ-
ხრა წავმა დედა ზღარბს, — ხუთ წაღს
მანც ვებრუნებ უკან და შენმა ბიჭებ-
მაც რივირგობით ისეირნონ!

მალღობის მეტი რა ეთქმოდა დედა
ზღარბს ასეთი რჩევისათვის! მივიდა შინ,
შემოისხა ბიჭები გარშეო და უთხრა:
— აბა, შეიღებო, მოიფიქრეთ, რო-
გორ გაგინაწილოთ ხუთი წაღა?

ბიჭებმა მაშინვე დაიწყეს ფიქრი. ხუმ-
რობა არ იყო, ხუთი წაღა ათისათვის
უნდა გაენაწილებინათ, როცა თითოს
ოთხი თათი აქვს, სუყველას ერთად კი
ორმოცი!

— იქნებ კოტცეს ორ თათზე ჩავა-
ვათ, ხოლო პიგეს კი სამ თათზე. ორი
და სამი ზუსტად ხუთია. ან იქნებ კოტცეს
ოთხივე თათზე ჩავაყვათ და ერთი თა-



თიც პიუტცესი მივუმატოთ. ოთხი და
ერთი რომ ხუთია!

რას არ იგონებდნენ ზღარბები! ირგე-
ლივ ისეთი ღრიანცელი იღვა, რომ მა-
ლე ყველას თავი ასტიკვიდა.


— ძილის ღროა, ყმაწვილებო, ხვალ
დასვენებული იღნებით უყეთ იფიქრებთ,
— ურჩია მამამ შვილებს.

მალე ზღარბებმა ერთმანეთს ძილი
ნებისა უსურვეს და ჩაიძინეს. ისე მაგ-
რად დაეძინათ, რომ ვერც მეორე დღეს
გაიღვიძეს, ვერც ერთი კვირის შემდეგ
და ვერც ერთი თვის შემდეგ. სოროში
მხოლოდ გაბმული ხვრინვა-ლა გაისმოდა.

თურმე ზღარბებს მთელი ზამთარი
სძინავთ და გაზაფხულამდე არ იღვიძე-
ბენ. ამიტომ ზამთრისათვის წაღები სუ-
ლაც არ სჭირდებათ! გაზაფხულზე კი
ისევ ფეხშიშველები ისეირნებენ. დედა
ზღარბს სულ ვადაავიწყდა, რომ ზამთ-
რობით ზღარბები გრძელ ძილს მიეცე-
მიან ხოლმე.

თარგმნა თ. ქუარღვაძემ

1606





ჰუნ-თი-ჩიჯ „შადლობა, ვინც სათამაშოებს გვიკეთებს“.



ჰუნ-თიი-ჟუ „ნატურმორტი“.

ნგუან-თი-ჰიენ „მალე ვიფიქვებთ“.

სადამი ვიფიქვამიდან

ფიქვდელთ ამნათი:
 „საზოტა კაფოჩი
 თხილისი
 ურნალ „დილას“ რედაქციას.
 ვიმტნამის დემოკრატიული
 რესპუბლიკა კალაქ ჰანოიდან.“
 გავსხენით ამნათი და შიგ იყო
 ვიეტნამელი ნორჩი მხატვრების ნახა-
 ტები.
 იქაური ბავშვები მხურვალედ გე-
 ხალმებთან ქართველ ბავშვებს და გი-
 ლოცავენ ბედნიერ ახალ წელს!






ჩანკონ-ფუუ „წაგები ხალონგში“.



გა-ფონ-თაო „ორი ზექტემზრის დღესასწაული“
ვიეტნამის განთავისუფლების დღე.



ფა-ტი-თაე „მანქანების ოსტატები“.



PHAM THỊ
QUẬN THANH



<p>ჩედაქვის მახარია: ახლისი, პლენარის პრესა. № 81, ტელ. 5-37-38.</p>	<p>ყდაზე „წამთარი“ ნახატი ლ. შინგელიანი</p> <p>რედაქტორი იოსებ ნონეშვილი. სარედაქციო კოლეგია: ი. გრიშაშვილი, კ. კ. გიგიაშვილი, მ. მაცუვალა, მ. მრეველიშვილი (რედაქტორის მოადგილე), [ი. სინხარულიძე], ნ. უნაუქოშვილი, შ. ცხადაძე (სამხატვრო რედაქტორი), ტტ. რედაქტორი გ. რიონიშვილი</p>	<p>მაკეტი ა. პანძალაძე</p>	<p>ფასი 20 კპ.</p>
<p>გამოცემის ოცდამეოთხეუბეტი წელი. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ დაუბრუნდებათ გამომცემლობა „ნეკადელი“, გამოსტ. შეჯ. № 748, სტამბის შეჯ. № 4203 ტირაჟი 40000 ხელმოწერილია დასაბეჭდად 3/III 1962 წ. ფურცელი დაბეჭდილია ლიპო-ფსტერ ბეჭდვის ფაბრიკაში შრომის ქ. № 2. D I L A-ზე გრუზისკო ეზოში, თბილისი, პროს. პლახოვა № 91.</p>			